სახალხო გაზეთი

№ 897 შაბათი, 18 მაისი 1913 წ. № 897

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში, გაიმართება სეირნობა

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

საზოგადოების გამგეობა დახმარებასა სთხოვს ყველას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული და გაზეთში გამოცხადდება. 1201

დღეს, 18 მაისს
დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში

საღამოს შვიდ საათზე მოხდება

ქართველ ქალთა კრება

1213.

ქართული თეატრი

კვირას, 19 მაისს, შუადღის 2 საათზე,

შალვა ქარუმიძე წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

„რომის ბატონობა და განმანთავისუფლებელი მოძრაობა რომსა და პროვინციებში“.

მოკლე შინაარსი: რომის იმპერიალიზმის დასაწყისი და მსოფლიო-პოლიტიკური ტენდენცია რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.—ახალი ქვეყნების დაპყრობა და მწვავე საკითხი იმის შესახებ: შეიერთებენ დაპყრობილ ქვეყნებს პროვინციებით, თუ დამოუკიდებელ, მაგრამ ავტონომიურ სახელმწიფოებით? პოლიტიკური შეხედულებანი რომის ხელმძღვანელი პარტიებისა და სახალხო კრებებისა. პროვინციების მართვა-გამგეობა. პავლ. ემილი აღმოსავლეთში და გ. იულ. ცეზარი გალთა ქვეყანაში. იმპერიალიზმით შეტანილი ცვლილებანი რესპუბლიკის ცხოვრებაში და ამ ნიადაგზე აღმოცენებული განმანთავისუფლებელი მოძრაობა რომში. პოპულიარებისა და ოპტიმატების პარტიები და მათი პოლიტიკურ სოციალური შეხედულებანი.

II პროვინციის პასუხი რომის პოლიტიკაზე. საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილის სხვა და სხვანაირი განწყობილება რომის ბატონობასთან. ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობანი პროვინციებში და განსაკუთრებით იუდეაში. განმანთავისუფლებელ მოძრაობის დამარცხება. ბნელეთის წყვდიადი საშუალო საუკუნეთა და განცდილ საზოგადოებრივ მოძრაობის მაჩვენებელი ნიშნები.

ადგილების ფასები დაკლებულია. 1208

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

პარასკევს, 24 მაისს, 1913 წ.

ზაქ. პ. ფალიაშვილი გამართავს
ქართულ კონცერტს

ივ. პ. სარაჯიშვილის მონაწილეობით.

შესრულებული იქნება: 1) მ. მ. იპპოლიტ ივანოვის „სიუიტა ივერია“ დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის ნაწარმოები. 2) ზაქ. პ. ფალიაშვილის ახალი ქართული ოპერიდან **„აბესალომ და ეთერი“** პირველი სურათი და მესამე მოქმედება, — აბესალომის როლს შეასრულებს **ივ. სარაჯიშვილი.** 3) ა) ქართული სახალხო სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის და სოლო შემუშავებული ზ. ფალიაშვილის მიერ და ბ) ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ ცალკე ნომრები.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი კოლოტოვისა, პრესინსკასა, კოვალენსკისა, ბ-ნნი ივ. სარაჯიშვილი, ინაშვილი, ლორთქიფანიძე, ქართული ფილარმონიულ საზოგადოების გაძლიერებული გუნდი და ახალი კლუბის სიმფონიური ორკესტრი ზაქ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. რეჟისორი **კონსტ. ანდრონიკაშვილი.** დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზედ. დაწვრილებით პროგრამმაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1207

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 18 მაისს 1913 წ., სახ. სახლთან არსებულ ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ დამსახურებულ მსახიობ ქ-ნ **ეფ. მესხის** და მსახიობ ბ. **ალ. იმედაშვილის** მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქ. გერმან გაიერმანსის, თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გამრეკელი-ტორელი ეფ. მესხი, თ. ნარაკიძე, პიერეტა, მ. რომანიშვილი და, ა. ქიქოძე და ელ. ციმაკურიძე, ბ-ნნი: გ. ანაშვილი, მ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ალ. იმედაშვილი, ა. კავსაძე ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი. ადგილების ფასი 5 კ.—50 კაპეიკამდე. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** შემდეგი წარმოდგენა 26 მაისს, წარმოდგენილი იქნება: **„სიბნელის ლაქა“.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე ნ. ჭანკვეტაძე. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის ადმინისტრაცია. ბილეთების კასა ღია ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე 1160

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი

კვირას, 19 მაისს,

ახალგაზრდა პოეტი ვ. რუხაძე
გამართავს
სალიტერატურო და სამუსიკო დილას.

I) **გრიგოლ ნათაძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე: „თანამედროვე სიმბოლიზმი“.

II) **წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს:**

ს. აბაშელი—ლექსი, **ბ. ახოსპირელი** ლექსი, **ი. გრიშაშვილი**—ლექსი, **ი. ევდოშვილი**—ლექსი, **ეშმაკი**—წაიკითხავს ახოსპირ. სცენებს, **ირეთელი**—ესკიზი, **ი. იორდანიშვილი**—სცენები, **ი. მჭედლიშვილი**—ლექსი.

III

ძმანი კავსაძენი—სიმღერა, **ბ. ლორთქიფანიძე**—სიმღერა, **ვ. რუხაძე** ლექსი, **ილ რუხაძე**—ესკიზი. **ს. სალირაშვილი**—თარი, **გ. ქუჩიშვილი** ლექსი, **ნ. ჩხიკვაძე** ლექსი, **გურულების ხორო ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს გურულ სიმღერებს.**

ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწყ. შუადღ. 12 ს.** გამგე **ბ. ბეგლარიძე** 285

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

სამშაბათს, 21 მაისს, ელ. ჩერქეზიშვილის და **ალ წუწუნავას** მონაწილეობით სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმართ. წრის სცენის-მოყვარეთა მიერ წარმოდგ. იქნება: ცნობილი პიესა (გადმოკეთებული **ნინოშვილის** რომანიდან) **ქრისტინე,** 4 მოქმედ. ირეთელისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ს. ანკარა, ნ. ბადრიძე, გოდერძი, კახელი, თ. ნარაკიძე, ტანელი, პიერეტა, მ. რომანიშვილი და ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ვ. მინდიაშვილი, ალ მეტრეველი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, ფრონისპირელი. დ ჩიქოვანი, ნ. ჭანკვეტაძე, მ. ჭიაურელი, ალ. წუწუნავა და ჯაბაური.

დასაწყის. საღ. 8-ნახევ. ს. ადგილების ფასი 15—80 კ.

142 გამგე **ალ ბადრიძე.**

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოების
მორიგი კრება

მოხდება **შაბათს, 18 მაისს, საღამოს 8 ს., სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში, სასახლის ქუჩა, სახ. № 6.**

„თავ. რაფიელ ერისთავის შემოქმედება“, კრიტიკული ეტიუდი ი. ვართაგავასი, წაიკითხავს **ა. ჭუმბაძე.** მოხსენებას წარმოსთქვამს **ი. ვართაგავა.** 1204

შაბათს, 18 მაისს, გორი **შაბათს, 18 მაისს,**

საზოგადო საკრებულოს დარბაზში,

გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად **ლექციას:**

ი. ჭავჭავაძე
და საქართველოს ტრაგედია

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.

ბილეთები ამთავითვე იყიდება ქალაქის აფთიაქში **ი. კვალიაშვილთან** და **სანდრო გძელიშვილთან.** ბილეთების ფასი 1 მან. 50 კ. 25 კაპ.-დე.

1206 ადმინისტრატორი **ა. გძელიშვილი.**

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 19 მაისს, 1913 წ.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება **„პატარა კახი“,** ისტორიული დრამა 5 მოქ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას ღებულობს წრის მთელი დასი.

ბაღი ახლად შეკეთებულია და გაჩირაღდნებული. ანტრაქტებში დაუკრავს წრესთან არსებული სიმებიანი ორკესტრი ბ. ეთანაშვილის ხელმძღვანელობით.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასები 4-50 კაპეიკამდე.

1029 მორიგი გამგე **რ. ჯიბლაძე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

ტფილისის საკომერციო ბანკი

აცხადებს, რომ ზაფხულის **3** თვის განმავლობაში, ბანკის დარკინულ სალაროში

მიიღება შესანახად
განძეულობის დასაფარი ყუთები.

სულ პატარა № 1—3 მ., პატარა № 2—3 მ. 50 კ., საშუალო № 3—5 მ. 1212

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს **მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით [illegible]—1. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი ვ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, თაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“** და **„914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექით და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიუს** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნ.-პლ.,** ბებუთოვის ქ., **№ 23** (განოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ქირავდება

სასტუმრო „ვლადიკავკავის“ მთელი ზემოთა სართული 21 ოთახისაგან შემდგარი (იარმუკაზე, მუხრანის ქუჩის და რუსის ბაზრის კუთხე) სხვა და სხვა დაწესებულებებისათვის და აგრეთვე, კერძო საცხოვრებელ ბინებისათვის, სავაჭრო კანტორებისა და საწყობებისათვის და აგრეთვე სხვა გვარ საქმისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება იქვე მეეზოვესთან, მუხრანის ქუჩიდან № 2. 289

საარტისტო საზოგადოების თეატრი

კვირას, 19 მაისს,

მეორე და უკანასკნელი საღამო იაპონიის ხელოვნებისა

განაკო ოტასი.

I) **მსახიობ ქალის მომზადება.**

პირველი განყოფილ. 1) **ცეკვა** პირველი სასწავლო წელიწადი. 1. საბავშო ცეკვა. მეორე სასწავლო წელიწ. 2. ხარუსამდე (გაზაფხულის წვიმა). 5—6 სასწავლო წელიწად. 3. სიოკუმი (ქალწულის სიყვარულ). **მეორე განყოფილება: II) მუსიკა სამისენის:** მქუხარე მდინარე. **იაკუბოს დაკვრა:** ღამის ქარი. **მესამე განყოფილება: III) ხმის შემუშავება სხვა და სხვა როლისათვის, სხვა და სხვა მანერა, მიმოხვრა და მიმიკა** 1. დედა ბავშვით; 2. მაწანწალა ჯენტლმენი; 3 პატარა ქალი; 4. ბიჭი; 5. სიყვარული,: პირველი შეხვედვა; პატარძალი; 6. სიცილი; 7. **საშინელება.**

II) **თავის მოკვლა,** დრამა 2 მოქმედებად, სარაიასიკისა და **მოახლე ოტაკე,** პიესა ერთ მოქმედებად (მეორე ვარიაცია).

დასაწყ. საღამ. 8-ნახევარ ს. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. 288

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № [illegible]. წ. 1132

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—8½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ქუთაისში

ექიმი ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ამ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. **დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18,** (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1053

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში

იყვნენ ისეთები, რომელნიც მოუთმენლად ელოდნენ სათათბიროში საბიუჯეტო კამათის დაწყებას. ბევრის აზრით, მეოთხე სათათბიროს ფიზიონომია საკმაოდ გამორკვეული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სესსია უკვე დასრულდა, ამ სესსიაში არაფერი არ გაკეთებულა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პარტიების ფიზიონომია და ტაქტიკა მაინცა და მაინც შეუცვლელი დარჩა მესამე სათათბიროს დროიდან.

გამოურკვევლობას უმთავრესად იმით ხსნიდნენ, რომ მე-IV სათათბირომ ვერ მოახერხა ჯეროვანის და მტკიცე ცენტრის შექმნა. ნამდვილს ცენტრში (კრუპენსკის ჯგუფში) სულ 34—35 კაცია; ცენტრის უმრავლესობის შესადგენად ეს მცირე ჯგუფი საკმარისი არაა. არც ოქტომბრისტებს შეუძლიანთ უმრავლესობის შედგენა; ამისთვის მათ დასჭირდება არა თუ კრუპენსკის მომხრეთა დახმარება, არამედ მთელის კონცენტრაციის მოხდენა, ე. ი. იგი, რამდენიმე ჯგუფის შეერთება ან მარჯვნით ან მარცხნით. აი, სწორედ ამ გარემოებამ დაჰბადა ზოგიერთი იმედი რუსის ლიბერალურ პრესსაში და საზოგადოებაში. როცა მეოთხე სათათბიროს შემადგენლობა გამოირკვა, როცა ცხადი შეიქნა, რომ 3 ივნისის კანონის ძალით მოხდენილ არჩევნებშიაც კი დამარცხება ხვდა წილად მესამე სათათბიროს ხელმძღვანელ ცენტრს, საზოგადოებრივ აზრის ზოგიერთ წარმომადგენლებში ფეხი მოიკიდა იმედმა, ოქტომბრისტები ველარ გაჰბედავენ წინანდელ ტაქტიკის გაგრძელებასაო. არჩევნებმა დაუმტკიცა მათ, რომ ქვეყანა უკმაყოფილოა იმ სათათბიროს მუშაობითა და მოღვაწეობით, რომელსაც ოქტომბრისტები ხელმძღვანელობდნენო; გუჩკოვის და სხვა ლიდერების გაშავებამ თვალები აუხილა ამ პარტიასა და იძულებულს გახდის მას მეოთხე სათათბიროში ოპოზიციას დაუახლოვდესო.

მეოთხე სათათბიროს პირველ ნაბიჯებმა თითქო გაამართლეს ეს მოლოდინი. პრეზიდიუმის არჩევა, როძიანკოს სიტყვა და სხვა რამდენიმე აქტი ახალ სათათბიროსი თითქო გვიჩვენებდნენ, რომ ოქტომბრისტები გონს მოვიდნენ და წინანდებურად უსიტყვოდ არ დაემორჩილებიან მთავრობასა და თავს არ ჩააყლაპვინებენ მემარჯვენეთ. დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ილლიუზია. მალე აღმოჩნდა, რომ ოქტომბრისტების სული და გული უცვლელია, რომ მათ არ შეუძლიანთ არავითარ მარცხენა კონცენტრაციის მოხდენა, არავითარ იმედის გამართლება. მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, ბევრი ელოდა საბიუჯეტო კამათს, სადაც საბოლოოდ გამოირკვეოდა, საითკენ გადაიხრება ოქტომბრისტების პარტია და, საზოგადოდ, რას უნდა მოველოდეთ ოპოზიციისაგან. მოლოდინი უკანასკნელ დროს გაიზარდა და საბიუჯეტო კამათის არაჩვეულებრივ გაცხოველებას უცდიდნენ.

ეხლა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ყოველივე ეს იმედი და მოლოდინი გაცრუვდა. საბიუჯეტო საზოგადო კამათი დაიწყო და გათავდა კიდეც ისე, რომ სათათბიროს სრული აპატია, რაღაც დაშვებულება არ შერყეულა ოდნავადაც. კიდევ მეტიც: მესამე სათათბიროს

არც ერთხელ ასე აჩქარებით არ გაუთავებია საზოგადო კამათი ბიუჯეტზე და ასე უფერულად არ ჩაუტარებია ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი საპარლამენტო ცხოვრებაში. ფინანსთა მინისტრმა თავის ნაცად და ცნობილ სიფრთხილეს გადააჭარბა: თითქმის ერთი სიტყვა არ წამოსცდენია საზოგადო პოლიტიკაზე და არ გასცილებია საფინანსო ტეხნიკურ ვიწრო ფარგალს. ოპოზიციის ფინანსისტმა შინგარიოვმაც, მინისტრის მიხედვით, ცოტა ხნით დასტოვა საფინანსო ვიწრო ფარგალი და ფრთხილად შეეხო საზოგადო პოლიტიკას, რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას. სავსებით განმეორდა მესამე სათათბიროს საბიუჯეტო კამათის სურათი: კოკოვცევი შეურყეველის და თითქმის ბავშურის ოპტიმიზმით არწმუნებს „ხალხის წარმომადგენელთ“—რუსეთის ფინანსები მშვენიერს მდგომარეობაში არის და ამის მიხედვით სხვა საქმეებიც საიმედოთ მიდისო; ამაზე შინგარიოვი უპასუხებს, ფინანსიური კეთილდღეობა მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითი და დროებითი არისო და ამის მიხედვით რუსეთის საერთო მდგომარეობაც უნუგეშოაო. ამით თავდებოდა წინადაც და ახლაც ამით გათავდა ეს მთავარი საქმე პარლამენტისა. სიტყვები და სიტყვები მხოლოდ. ბურჟუაზიულმა ოპოზიციამ ვერც წინედ, ვერც ეხლა ვერ გაბედა, ენერგიული ნაბიჯი გადადგას და უარი უთხრას იმ ბიუჯეტის დამტკიცება-შეწყნარებაზე, რომელიც დაყრდნობილია ძველს რეჟიმზე და რომლითაც სარგებლობს ის მთავრობა, რომელსაც არც ძალა შესწევს და არცა სურს აასრულოს 17 ოქტომბრის მანიფესტი. ესეთი აქტი ვერ ჩაიდინეს თვით კადეტებმაც-კი; ხოლო ოქტომბრისტები, როგორცა ვთქვით, ოდნავადაც არ დაძრულან პოზიციიდან და ისევს იმ გზით მიჰყავთ მეოთხე სათათბირო, რომლითაც მესამე მიჰყავდათ...

გათავდა საბიუჯეტო საზოგადო კამათი. ყოველივე მოლოდინი ლიბერალურ საზოგადოებისა დაიმსხვრა. მე-IV სათათბიროს უმრავლესობის ტაქტიკაც გამოირკვა- ყველაფერი თავის ალაგას რჩება და არა სჩანს, რომ ის ყინული დადნობას აპირებდეს, სადაც გაბატონებულმა რეაქციამ დიდი ქვეყნის ისტორია მიიყვანა. ისევ უტყუარად მტკიცდება, რომ ამ ყინულის დამდნობ ძალად 3 ივნისის კანონით არჩეული სახალხო წარმომადგენლობა ვერ გახდება...

თუ საზოგადო საბიუჯეტო კამათმა არაფერი სანუგეშო არ მოუტანა იმათ, ვინც ამ წარმომადგენლობისგან კიდევ გამოელის რაღაცას, თითოეულ ხარჯთ-აღრიცხვათა განხილვა უფრო ნაკლებად გაუმართლებს იმედებს. ამას სინოდის ბიუჯეტის განხილვაც კარგად გვიხატავს, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

15 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **თავ. ვოლკონსკი და შემდეგ როძიანკო.**

ლიუცი. კითხულობს შეკითხვათა კომისიის მოხსენებას, არჩევნების უკანონობის თაობაზე. შეკითხვა მიმართულია შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრისადმი და სინოდის ობერ-პროკურორისადმი. მომხსენებელმა საჭიროდ სცნო შეკითხვების იმ ნაწილის მიღება, საცა კანონი ცხადლივ არის დარღვეული, როგორც მაგალითად ადმინისტრაციის მიერ მეორე არჩევნების დანიშვნა ქარხნებში, და სხვა.

პილიპენკო აღნიშნავს, შრომის ჯგუფის შეკითხვა დასაბუთების მხრით სუსტიაო. შესაწყნარებელია მხოლოდ შეკითხვა, რომელიც ეხება კანდიდატთა სიიდან ვინმე ბერეზინის უკანონო გამორიცხვას ვიატკის გუბერნიაში. რაც შეეხება მესამე შეკითხვას, კომისიამ სასურველად სცნო მისი მიღება. მესამე შეკითხვაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ქუთაისის და ფოთის ქალაქების არჩევნები ქუთაისის გუბერნატორმა დაარღვია და მის ნაცვლად ახალი არჩევნები არ დანიშნა.

გერასიმოვი. კომისიის უმრავლესობა კადეტების შეკითხვას თითქმის მტრულად დახვდა. შინაგან საქმეთა მინისტრის უკანონო მოქმედების მიჩქმალვას სცდილობდა და მთავრობის დაბალ მოხელეთა სდებდა არჩევნების უკანონობის ბრალსო. მოლაპარაკეს მოჰყავს საბუთები ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებისა. დასასრულ გერასიმოვმა იმედი გამოსთქვა, სათათბირო მიიღებს შეკითხვას და ამით ამცნობს მთავრობას, რომ მისი მოვალეობაა არჩევნების თავისუფლების დაცვა და არა მისი შეზღუდვა. (ტაში მარცხნით).

ლიუცმა განაცხადა, რომ გერასიმოვის რწმუნება, ვითომც კომისია შეკითხვას მტრულად შეჰხვედრიყოს, ჭეშმარიტი არ არის. ამის დასამტკიცებლად ლიუცს ისიც საკმარისად მიაჩნია, რომ შეკითხვის დებულებათა უმეტესი ნაწილი კომისიამ მიიღო.

შემდეგი სხდომა 17 მაისს იქნება.

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

15 მაისის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის მოხსენების მიხედვით საბჭომ სათათბიროს რედაქციით მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარისკაცებს არ ჩაეთვლებათ სამხედრო სამსახურის ვადაში ციხეში ჯდომის დრო.

განსახილველია კერძო სასწავლებელთა, კურსების და კლასების კანონ-პროექტი.

გურკო კითხულობს მოხსენებას. კანონ-პროექტი სახალხო განათლების სამინისტროს თაოსნობით აღიძრა 1910 წელში. ამის მიზეზი იყო კერძო სასწავლებელთა დაძველებულ კანონების უვარგისობა. კანონ-პროექტი ვრცელდება უმაღლეს, საშუალო და დაბალ კერძო სასწავლებლებზე, კერძო კურსებზე და სხვა. კანონ-პროექტი კერძო სასწავლებლებს შეღავათიან უფლებას ანიჭებს. სათათბირომ რამდენიმე შესწორება და ცვლილება შეიტანა კანონ-პროექტში. უმთავრესი ცვლილება შემდეგია: ერობებს, ქალაქებს და წოდებებს ენიჭებათ კერძო სასწავლებელთა დაარსების უფლება. საბჭოს კომისიამაც შეიტანა ზოგიერთი შესწორება, მაგრამ მათი განხილვა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის დროს შეიძლება

გრიმს კანონ-პროექტი სასურველად და ნაყოფიერად მიაჩნია, მაგრამ მისი აზრით კანონ-პროექტის მრავალი მუხლი ერთი მეორეს არ ეთანხმება. ამის მიზეზი სხვა და სხვა ცვლილების შეტანა არისო. მოლაპარაკეს შესწორებათა უმეტესობა შეუწყნარებლად მიაჩნია.

ოლიზარს კანონ-პროექტის განხორციელება სასარგებლოდ მიაჩნია, იმიტომ რომ კერძო სასწავლებლის ნიადაგზე შეიძლება სამინისტროს და მცხოვრებთა სხვა და სხვა შეხედულების შეთანხმება. სკოლის საქმეში თვით მცხოვრებნი უნდა იყვნენ დაინტერესებულნი; კერძო სასწავლებელს თავისუფლობა და დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს. ორატორი ლაპარაკობს სასწავლო ენის თაობაზე, და აღნიშნავს, რომ ამ მხრით კერძო სასწავლებელი თავისუფალი უნდა იყოსო.

თავ. **გოლიცინი-მურავლინი.** ენა, სწავლა-განათლების საქმეში უმთავრესია. ენა სახელმწიფოებრივობის მტკიცე ფუძეა. რუსეთმა განაპირა ქვეყნები იმიტომ კი არ დაიპყრო, რომ მათთან ებრძოლონა, არამედ მეგობრობისთვის და კეთილგანწყობილებათა განმტკიცებისთვის. დაპყრობილი განაპირა ქვეყნები უნდა შეუერთოთ არა მარტო სახელმწიფოს სხეულს, არამედ მის სულსაც. უსკოლოდ მათი მართვა-გამგეობა შეუძლებელია. სკოლა რუსეთში რუსული უნდა იყოს.

პილარ-ფონ-პილხაუ რუსეთში მთელი გუბერნიებია, საცა არა რუსნი სცხოვრობენ. ამისთანა ადგილებში საჭიროა კერძო სასწავლებლებში ადგილობრივ ენით ისწავლებოდეს. სწავლა-განათლების საქმეში შევიწროვებანი არა-რუსთა საჭირო არ არის.

საბჭო კანონ-პროექტს მუხლობრივ იხილავს. პირველი მუხლი კერძო სასწავლებელთა წესებია.

სტიშინსკი პირველი მუხლის შესწორებას იცავს. პირველი მუხლი ეხება იმ საკითხს, თუ ვის აქვთ კერძო სასწავლებელთა დაარსების უფლება. მოლაპარაკე მოითხოვს გამოირიცხოს ამ მუხლიდან ერობები, ქალაქები, მრევლი და ყოველივე კერძო დაწესებულებანი. კერძო სასწავლებლის გახსნის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომლის წესდებაშიაც აღნიშნულია ეს.

გურკო უპასუხებს სტიშინსკის. არავითარი უფლება არა გვაქვს, რომელიმე დაწესებულებას ჩამოვართოთ კერძო სასწავლებლების დაარსების უფლება, რადგანაც ყოველ სასწავლებელში სწავლა მთავრობის მეთვალყურეობის ქვეშ იწარმოებს. საკვირველი იქნება, კერძო პირებს მივაკუთვნოთ ეს უფლება და ქალაქებსა და ერობებს კი წავართვათ. საჭიროა ერობებს მიენიჭოს უფლება —ისეთი სასწავლებელი დაიარსონ, როგორსაც მათი ინტერესები მოითხოვს.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ბარ. ტაუბე. მთავრობა სტიშინსკის შესწორებას ეთანხმება. პირველ მუხლში რომ ერობები და ქალაქები არ იხსენიებოდეს, ამით უფლებანი სრულიად არ იზღუდება. დღევანდლამდე ერობები რომ კერძო სასწავლებლებს ჰხსნიდნენ, ამის ნებართვას ითხოვდნენ. ერობის ფულიც, როგორც სახელმწიფოსი, [illegible] ერთხელ დაწესებულ ტიპის სასწავლებლებს უნდა მოხმარდეს. ერობას არცა აქვს საკმაო ფული, საყოველთაო სწავლის შემოსაღებად.

შემდეგი სხდომა 17 მაისს იქნება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პოლიტეხნიკუმი.** გუშინ ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელ გენერ. ნ. პ. შატილოვისაგან ოფიციალური ქაღალდი მიიღო, რომლითაც აცნობებს, პოლიტეხნიკუმის ადგილის ასარჩევად საუწყებათაშორისო კომისია დაინიშნაო. კომისიის წევრად სხვათა შორის, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვია. სხვების გვარებს ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ.

◆ **პიატიგორსკის ეპისკოპოსი დავითი** წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

◆ **ლექცია-კონცერტი.** მაისის ბოლო რიცხვებისთვის ქართულს თეატრში დ. ი. არაყიშვილის ლექცია-კონცერტია განზრახული.

◆ **გამოფენა ქართულ გიმნაზიაში.** 19 მაისს ტფ. ქართულ გიმნაზიის შენობაში ქალთა სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა ხატვისა და ხელსაქმის ნაწარმოებთა გამოფენა გაიხსნება, რომელიც ერთს კვირას გასტანს. გამოფენის დათვალიერება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

◆ **მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები** 16 მაისს გაიხსნა კავკასიის საბრეშუმო სადგურთან. კურსებზე მსმენელებად არიან სახალხო სკოლების მასწავლებელნი და სოფლის მეურნენი. ლექციას კითხულობს შვიდი ლექტორი, კურსები 16 ივნისამდე გასტანს.

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც 65,000 მან. არის გადადებული **„კრუჟოკ“-ის შენობაზე** მესამე სართულის დასადგმელად. სართულის დადგმას გუშინ შეუდგნენ.

◆ **სარკინიგზო კურსები,** რომელიც ამ ორის თვის წინად გაიხსნა, გუშინ დაიხურა. კურსებზე იყვნენ რკინის გზის მდაბალი მოსამსახურენი, რომელნიც რკინის გზის სადგურის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე ემზადებოდნენ. კურსები გაათავა 50 კაცმა.

◆ **ბებია ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ** დღეს, 18 მაისს და ორშაბათს, 20 მაისს, მუშტაიდში სეირნობა გაიმართება. ბაღში შესვლა უფასოა. დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

◆ **რედაქციამ მიიღო** ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ გამოცემული ღია (საფოსტო) ბარათები ალ. სოლ. ხახანაშვილის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. თითო ბარათი ღირს 5 კაპ.

◆ პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა **თვით-მოძრავ საგარძლის** გამომგონი თ-დი ი. ვ. ვაჩნაძე.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** 16 მაისის კრებაზე სამხედრო სამსახურში ერთი კაცი მიიღო იმ პირთაგან, რომელნიც შარშან იყვნენ გაწვეულნი სამხედრო ბეგარის მოსახდელად და მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ.

◆ **მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა** 2040 მან. გადასდო მულანში საბაღოსნო და სატყეო კულტურის სანერგის გასაშენებლად.

◆ **საბოტანიკო ბაღი** წელს აპირობს დაწვრილებით გამოიკვლიოს ამიერ-კავკასიის ფლორა.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა **კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტს** 20,000 მან. გამოუგზავნა ერევნის გუბერნიაში თიხის ჭურჭლეულობის სკოლის დასაარსებლად.

◆ **გამოვიდა ჟურნალი „განათლების“** მორიგი (მაისის ნომერი). ნომერი ფრიად საინტერესოდ არის შედგენილი. შიგ მოთავსებულია: 1) პროფ. გურლიტი. VIII პიროვნება—ლ. ბოცვაძე. 2) ქლექი და მასთან ბრძოლა—ექიმი შ. მიქელაძე 3) ფიქრი სკოლაზე (რუსულიდ)—ვანაში ნამყოფი. 4) ნიკოლოზ ბარათაშვილი—ილ. ფერაძე. 5) ხატვა და ძერწვა პირველ დაწყებით სწავლის დროს (რუსულიდან)—ნ. გ—ძე. 6) მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე—არტურ ლეისტი. 8) კეისარი იმპერატორი, ტრაგედია სამ მოქმედებად (დასარული)—ალ. შანშიაშვილი და მ. შევარდნაძე. 9) ქართველი კაცი, ღვინის ქვევრი და ბოჩკა (არაკი)—ვაჟა-ფშაველა. 10) ბულბული აღარ უსტვენდა—გ. მოუსვენარიძე. 11) ქალი თავადი—ვ. გორგაძე. 12) კვლავ წყვდიადია—აკ. სვანი. 13) განუყრელად ჩემთან არის!—ლადო გეგეჭკორი. 14) ჰ-ეს როლი ქართული ზმნის უღვლილების დროს—პეტრე მირიანაშვილი, 15) შინაური მიმოხილვა—პირველდაწყებითი მაღალი სასწავლებელი და ქართული ენა—ი. გ—რი. 16) საზოგადოებრივი აზრები მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში—სამსონ დადიანი. 17) ჯიხაიშელი „მფრინავი კატა“ და 1881 წ. სამოსწავლო გეგმა—რობერტ.

◆ **საბირჟო ცნობები.** 17 მაისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მ. 80 კ., ტფ. სათავად-აზნაურო

ეროვნული საკითხი

თავი I*)

ისტორიული მიმოხილვა

2

პოლონეთი

წინა წერილში ჩვენა ვსწერდით ციმბირის ავტონომისტურ მოძრაობის შესახებ. მაგრამ ციმბირი, როგორც ეთნოგრაფიულად ნაკლებად განსხვავებული რუსეთისაგან და როგორც ამასთანავე ისეთი ქვეყანა, რომელსაც ისტორიული წარსული არა ჰქონია, იმდენ მასალას არ გვაძლევს ეროვნული მოძრაობის განვითარების დასახასიათებლად, რამდენსაც პოლონეთი. პოლონეთს მდიდარი ისტორიული წარსული ჰქონდა, იგი ერთს დროს ძლიერი და კულტურულად აყვავებული ქვეყანა იყო. მხოლოდ შემდეგ ისტორიული ჩარხის ტრიალმა ბოლო მოუღო მის დამოუკიდებლობას და სამ სახელმწიფოს საკუთრებად გადააქცია.

პოლონეთის ისტორიას რომ ვსწერდეთ, ძალიან ბევრი საყურადღებო ცნობების გადმოცემა შეიძლებოდა პოლონეთის იმ დროინდელი ცხოვრებიდან, როდესაც რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ პოლონეთი გაინაწილეს. გაყოფვას წინ უძღოდა ორპირული პოლიტიკა, რომლის მიზანიც იყო, უფრო დაესუსტებინა პოლონეთი, გაეძლიერებინა შინაური უთანხმოება და ამ რიგად მომზადებულ ნიადაგზე საკუთარი ბატონობა განემტკიცებინათ. ამ პოლიტიკის დასახასიათებლად მოვიყვანთ ერთს მაგალითს, რომელიც საუკეთესოდ გამოჰხატავს მაშინდელ მმართველთა სულის კვეთებასა და პოლიტიკას. ამ მაგალითიდან დაინახავთ, რომ პატარა ერთა დამოუკიდებლობის მოსპობის სისტემა თითქმის ყველგან ერთნაირი ყოფილა. ანალოგიურ მოვლენებსა ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში, თითქმის ასევე ექცევიან დღეს სპარსეთს, რომლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობა ჩვენს თვალწინა ჰხდება. პოლონეთი პირველად 1772 წელს გაინაწილეს. მიუხედავად იმისა, რომ დანაკლისი ძალიან მძიმე იყო, პოლონეთს მაინც საკმაო ტერიტორია და მცხოვრებლები დარჩა: მას ჯერ კიდევ შეეძლო გამობრუნებულიყო და განვითარების გზას დასდგომოდა. დაიწყო შინაური მუშაობა. მაგრამ სრული განახლებისთვის საჭირო იყო ძირითადი ცვლილება, საჭირო იყო ძირითადი სოციალ-პოლიტიკური რეფორმები. მოწინავე ნაწილი პოლონეთის საზოგადოებისა სწორედ ამ საქმეს შეუდგა. სხვათა შორის შეიმუშავეს დებულება გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ერის მოჭირნახულე პატრიოტები კარგადა ჰხედავდნენ, რომ პოლონეთის განახლებისთვის საჭირო იყო საფუძვლის განმტკიცება. პოლონეთის ეროვნული ცხოვრების საფუძველს კი გლეხ-კაცობა შეადგენდა. ზამოისკიმ შეიმუშავა ახალი კოდექსი და სეიმს წარუდგინა. მაგრამ რუსეთის ელჩმა შტაკელბერგმა პეტერბურგიდან ბრძანება მიიღო - ყოველი ღონისძიება იხმარე, რომ ახალი კოდექსი არ განხორციელდესო. მოტივი ასეთი ბრძანებისა ცხადია. პოლონეთი არ უნდა განახლებულიყო. იგი ნელ-ნელა უნდა გახრწნილიყო სოციალურად, რომ სრული ბატონობის განმტკიცება უფრო გაადვილებულიყო. ასეთი იყო იდუმალი გულის ზრახვა იმ დროინდელ პოლიტიკოსებისა, მაგრამ ოფიციალურად კი სხვა რამ მოიმიზეზეს. ახალი კოდექსი ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ უზრუნველყოფილ 1775 წლის კონსტიტუციას და ამიტომ არ შეიძლება განხორციელდესო. ამ რიგად, იმ დროს პოლონეთში პირისპირ იდგა ორი ძალა; ძალა პატრიოტული, დემოკრატიული, რომელიც პოლონეთის სოციალურ განახლებაში ხედავდა თავისუფლების გარანტიას და ძალა კონსერვატიული, თავად-აზნაურული, რომელიც ძველს ტრადიციებს ებღაუჭებოდა და რუსეთის დახმარებით უნდოდა ამ ტრადიციების განმტკიცება. პროგრესიული ახალ-გაზდობის სათავეში იდგნენ იგნატი პოტოცკი, ადამ ჩარტორიისკი და სტანისლავ მალახოვსკი. პროგრესიული პარტია სცდილობდა თანდათან მოესპო რუსეთის გავლენა პოლონეთზე და სამშობლო თავისუფალ განვითარების გზაზე გამოეყვანა. იგივე პარტია სცდილობდა მოეხდინა რეფორმა კონსტიტუციისა, რომელიც ტიპიური გამომხატველი იყო ოლიგარხიული რესპუბლიკისა. დამზადებული იყო ყველაფერი, დროც დანიშნული იყო, მაგრამ რუსულმა პარტიამ მალე გაიგო ყველაფერი და საჩქაროდ დესპანები აფრინა პეტერბურგს. აი სწორედ აქ შევხვდებით ერთს უცნაურს გარემოებას. კონსტიტუცია, თავად-აზნაურულ ინტერესების დამცველი ნაწილი პოლონეთის საზოგადოებისა, სთხოვს ეკატერინე მეორეს, მიიღოს ზომები და დაუბრუნოს პოლონეთს თავისი „რესპუბლიკანური თავისუფლებანი“, რომელნიც უზრუნველ-ყოფილი იყო რუსეთის მიერ. ეკატერინე მეორემაც სიამოვნებით მოისმინა ეს შუამდგომლობა პოლონეთის თავადიშვილებისა და გაგზავნა ასი ათასი ჯარი „რესპუბლიკანურ კანონებისა“ და სეიმის „რესპუბლიკანურ პრეროგატივების“ დასაცველად. გაუგებარი იქნება ჩვენთვის ეს გარემოება, თუ არ გავიხსენებთ, რომ პოლონეთის „რესპუბლიკანური თავისუფლებანი“ იყო თავ-აშვებული ბატონობა და ბრძანებლობა ოლიგარხიისა, რომელმაც სრულს გახრწნილებამდე მიიყვანა პოლონეთი და ბოლოს ხომ დამოუკიდებლობაც დაუკარგა. მეორეს მხრით, არც ეკატერინე მეორეს აინტერესებდა მაინცა და მაინც რესპუბლიკანური პრეროგატივები. იმ დროინდელი დიპლომატები მოხარულნი იყვნენ, რომ პოლონეთში შესევის საბაბი მიეცათ, და კიდეც ისარგებლეს ამ საბაბით. მებრძოლ მხარეთა ძალა თანაბარი არ იყო, და პოლონეთიც იძულებული გახდა დაჰმორჩილებოდა. პროგრესიული რეფორმების მომხრეთ სამართალში აძლევდნენ. დადგა რეაქციის ხანა. რუსეთმა, რასაკვირველია, გამარჯვებით ისარგებლა და მაშინვე ჩუმი მოლაპარაკება გამართა პოლონეთის გასაყოფად, რაც ფაქტიურად კიდეც მოჰხდა 1793 წელს. გამარჯვება წილადა ჰხვდა პოლონეთის კონსერვატორებს, რომელთაც კვლავ ეძლეოდათ საშუალება ფარფაშისა და ხალხის ექსპლოატაციისა.

მეორე გაყოფვამ პოლონეთს დამოუკიდებლობა ფაქტიურად დაუკარგა. შინაურ რეფორმებზე აღარავინა ფიქრობდა, რადგანაც თვით პოლიტიკური დამოუკიდებლობა ბეწვზე ეკიდა. პოლონეთის მამულიშვილები ვერ ურიგდებოდნენ ასეთ მდგომარეობას და აჯანყებაზე ფიქრობდნენ.

ამ დროს ეკუთვნის სწორედ პოლონეთის პირველი აჯანყება, რომელსაც თადეუშ კოსტიუშკო მეთაურობდა და რომელიც პოლონეთის მეორე გაყოფის ნახევარი წლის შემდეგ მოჰხდა. ამ აჯანყების დროს პოლონეთს ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ნასახი დამოუკიდებლობისა, ჰყავდა საკუთარი ჯარი და სხვ. აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ, რომ იდეა შეიარაღებული აჯანყებისა მოეწონებოდა როგორც ჯარს, ისე ხალხსა და პოლონეთის თავად-აზნაურობის იმ ნაწილს, რომელიც გულ-წრფელად იყო დაინტერესებული პოლონეთის განახლებით და წოდებრივ ინტერესების მსხვერპლად არა სწირავდა სამშობლოს კეთილდღეობას. შეიარაღებულ მეამბოხეთა მეთაურობა ჩაიბარა ემიგრანტმა კოსტიუშკომ, რომელიც იმ დროს ლეიპციგში იმყოფებოდა. კოსტიუშკო ერთი შესანიშნავი პიროვნებათაგანია პოლონეთის ისტორიაში. თვისი რწმენით იგი ნამდვილი დემოკრატი და რესპუბლიკანელი იყო. კარგა ხანი საფრანგეთში სცხოვრობდა, მონაწილეობას იღებდა ამერიკის განთავისუფლებელ ომში. სამშობლოში დაბრუნებისას პოლონეთის ჯარში შევიდა, მაგრამ როდესაც მეფე პოლონეთისა ეგრედ წოდებულ ტარგოვიცის კონფედერაციას მიემხრო და ამით რუსეთის ჯარის შესვლას პოლონეთში ხელი შეუწყო, კოსტიუშკოც სამსახურიდან გამოვიდა, 1793 წელს დიქტატორობა მიიღო და შეიარაღებული აჯანყების მზადებას შეუდგა. აჯანყებულთა კვალს მალე მიაგნეს და დევნა დაუწყეს. აჩქარება საჭირო გახდა. შეთქმულებმა ისარგებლეს შემთხვევით, როდესაც რუსის გარნიზონი კრაკოვიდან გავიდა. კოსტიუშკო მაშინვე მივიდა იქა, პოლონეთის ჯარმაც ერთგულება შეჰფიცა დიქტატორს. აჯანყების აქტი 1794 წლის 24 მარტს გამოცხადდა, 4 აპრილს კი კოსტიუშკო რაცლავიცის მახლობლად დენისოვის ჯარს შეებრძოლა და დაამარცხა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა არა მარტო რეგულიარი ჯარი, არამედ ცელებითა და ნაჯახებით შეიარაღებული სოფლის მცხოვრები გლეხებიც. ამ გამარჯვებამ პოლონეთის სხვა პროვინციებიც აღაფრთოვანა. აჯანყდა ვილნო და ვარშავა. მთელი აღშფოთება მიმართული იყო იმათ წინააღმდეგ, ვინც რუსეთის დახმარებითა სცდილობდა შინაურ ბატონობის განმტკიცებას და რომლებიც აჯანყებულებმა ჩამოახრჩეს. სხვათა შორის დაახრჩეს ლიტვის გეტმანი კოსსაკოვსკი. კოსტიუშკოს აჯანყებამ, რასაკვირველია, პოლონეთს ვერ უშველა. „ბედი პოლონეთისა“, ისევე, როგორც ერეკლეს დროს „ბედი ქართლისა“, უკვე გადაწყვეტილი იყო.

პოლონეთში კიდევ რამდენჯერმე სცადეს აჯანყების მოხდენა, მაგრამ პოლონეთი ყოველთვის მარცხდებოდა და საქმე იქამდის მივიდა, რომ სრულიად დაჰკარგა დამოუკიდებლობა. 1863—64 წლების აჯანყებამ ბოლო მოუღო პოლონელთა პოლიტიკურ რომანტიზმს.

პოლონეთმა, როგორც მთლიანმა სახელმწიფომ, დაჰკარგა დამოუკიდებლობა და სამი დიდი სახელმწიფოს საკუთრებად გადაიქცა.

ასეთი იყო ხანა პოლონეთის პოლიტიკურ რომანტიზმისა. ბევრი სულიერი ტრაგედია განიცადეს პოლონეთის მამულიშვილებმა, ბევრი მსხვერპლი შესწირეს ეროვნულ იდეალს, სანამ საბოლოვოდ არ დარწმუნდნენ, რომ შეიარაღებული აჯანყებით პოლონეთის განთავისუფლება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, თვით ეს ტრაგედიაც ისტორიისთვის უმნიშვნელოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ პოლიტიკურმა რომანტიზმმა კი სამუდამოდ ნიადაგი დაჰკარგა პოლონეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პოლონეთმა ცხოვრების ახალ პირობებში შესდგა ფეხი. გამუდმებულმა ომებმა და ამბოხებამ მოქანცა ხალხი და დაასუსტა. გარდა ამისა, პოლონეთის შეძლებული კლასის თვალწინ გადაიშალა ახალი პერსპექტივები, რომლებსაც უხატავდა რუსეთის ცხოვრება. ერთად-ერთი იმედი პოლონეთს ევროპისა შეიძლებოდა ჰქონოდა. ვინ იცის, იქნება ისეთი პოლიტიკური კონიუნქტურა შეიქმნას, რომ თვით ევროპამ იკისროს პოლონეთის განთავისუფლება და მისი აღდგენა პირვანდელი სახითაო! მაგრამ ბისმარკის პოლიტიკის გამეფების შემდეგ პოლონელებმა ეს იმედიც დაჰკარგეს და იძულებული გაჰხდნენ, ბედს დაჰმორჩილებოდნენ. მეორეს მხრით, შეიცვალა სოციალური პირობებიც, რასაც არ შეეძლო არ გამოეწვია ახალ აზრებისა და სულიერ განწყობილების გამეფება პოლონეთში. ჯერ საგლეხო რეფორმამ და მერე ეკონომიურ ცხოვრების გამოცოცხლებამ წარმოშობა ახალი სოციალური ჯგუფება, რომელთათვისაც შფოთიანი წარსული ხელსაყრელ პირობებს ვერა ჰქმნიდა. გაღარიბებული და გაღატაკებული გლეხობა ქალაქებს მიეტანა. იგი ცხოვრების ახალ პირობებში ჩაება. ინტელიგენციასაც ახალი პერსპექტივები გადაეშალა თვალწინ. დაიბადა ბურჟუაზიული კლასი, რომლისთვისაც საჭირო იყო მშვიდობიანი და ხელსაყრელი პირობები. ერთის მხრით ამ სოციალური ჯგუფების

---

*) (იხ. „სახ. გაზ.“ № 896.

სადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 65 კ., აძლევენ—85 მ. 40 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., 75 კ., აძლევენ—79 მან. 50 კ.

საზოგადოებანი და კრებები

✦ წერა-კითხვის საზ. თელავის განყოფილებამ შემდეგი შინაარსის წერილი გამოუგზავნა საზოგადოების თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ყაზბეგს: „მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო გიორგი ნიკოლოზის ძევ! 14 მაისს წ.-კ. გამ. საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა თხოვნით, შუამთის მონასტერში, სადაც დღეს საექსკურსიოდ იყვნენ წასულნი, გარდახდილ იქმნა პარაკლისი თქვენი, როგორც წ.-კ. საზოგადოების თავმჯდომარის, სადღეგრძელოდ. უზენაესმა მოგმადლოთ ძალღონე, ცხნერობა და დღეგრძელობა, რათა მალე განკურნებული, კვლავ დაჰბრუნებულიყავით თქვენს თანამდებობას და ჩვეულებრივი ნაყოფიერი ხელმძღვანელობა გაგეწიოთ ჩვენში წერა-კითხვის გავრცელების საქმისათვის. მასწავლებელ-მოსწავლეთა მონდობილებით წ.-კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის წევრი ვ. პაატაშვილი“.

✦ **საარქეოლოგიო საზოგადოების** კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება საგეოგრაფიო საზოგადოების შენობაში (მოსკოვის ქ. 3)

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება, რომელიც დანიშნული იყო 16 მაისისთვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

სასწავლებლებში

✦ **სადღესასწაულო დილა.** ტფილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებულ ქალთა სასწავლებელმა 14 მაისს სადღესასწაულო დილა გამართა. დილაში მონაწილეობას სასწავლებელში მოსწავლე 7—12 წლის ბავშვები იღებდნენ. მშვენივრად შეასრულეს მცირე წლოვანმა მსახიობებმა ორ მოქმედებიანი კომედია „ტყუილს ტყუილი მოსდევს“, კარგად იმღერეს, ჩინებულად წაიკითხეს ქართული და რუსული ლექსები. საზოგადოდ, დილამ დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. დიდათ სამწუხაროა, რომ გარეშე პირნი დილას თითქმის სრულიად ვერ დაესწრნენ.

✦ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის** მეორე კლასში გუშინ ერევნის ეპისკოპოსი პიმენი სამღვთო სჯულის ეგზამენს დაესწრო.

ქუთაისი.

✦ **რედაქტორის დაპატიმრება.** 16 მაისს დააპატიმრეს გაზეთ „სიმართლის ხმა“-ს რედაქტორი. გაზეთი აღარ გამოდის.

✦ **რევიზია.** ყოვლად სამღვდელო გიორგი, ეპისკოპოსი იმერეთისა, სამრევლო სკოლების რევიზიას შეუდგა.

წერილები პეტერბურგიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მეტი არ იქნება, მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი რამ იმ თხოვნებიდან, რომელიც დეპუტატ გელოვანს თითქმის ყოველ დღე მოსდის საქართველოდან და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის გლეხებისაგან.

ბელაგორიდან გელოვანს მოუვიდა თხოვნა, რომელშიც სთხოვენ ჩვენს დეპუტატს, აღძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რათა ბელაგორის სამოსამართლო ნაწილის შენახვა იკისროს ხაზინამ და არა ხალხმა, რომელსაც მძიმე ტვირთად აწვება ეს ხარჯი. ბელაგორელთა მონდობილობით ხელს აწერს ექვსი კაცი. მოსულია აგრეთვე პოლიტიკურ გადასახლებულთაგან. ამ თხოვნაში აწერილია იმათი მდგომარეობა, რომელთაც უკვე მოიხადეს სასჯელი, ზოგს ეპატია მანიფესტის ძალით, მაგრამ მაინც ვერ ეღირსნენ თავისუფლებას. ხელს აწერს ამ თხოვნას 12 კაცი.

მიუვიდა აგრეთვე თხოვნა მიქელგაბრიელის (გურია) საზოგადოებისაგან. ამ თხოვნაში აღნიშნულია ის გაიძვერობა და ხრიკები, რომელსაც მიმართეს ზოგიერთებმა გლეხების წინააღმდეგ, იმ გლეხების, რომელთა მიწაშიც აღმოჩნდა ნავთის ნიშანი. ამ თხოვნას ხელს აწერს 34 კაცი. მიმართვა იწყება ასე:

„მ. ხ. ბ. ვარლამ! იმის შემდეგ, რაც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან გაისმა თქვენი ძლიერი ხმა ჩვენი სამშობლოს და მშობელი ხალხის დასაცველად, ჩვენ, თქვენმა ამომრჩევლებმა, დავინახეთ, რომ სათათბიროში გვყავს ჩვენი ინტერესების დამცველი და სხვა.“

არის აგრეთვე ლეჩხუმიდან, რომელზედაც ხელი უწერია 133 გლეხს. ისინი შესჩივიან, რომ თოვლიახობის დროს ამუშავეს და შრომის ფასი კი არ გადაიხადეს, თუმცა სამუშაო ქირა ყველასათვის უნდა გადაეხადათ.

საინტერესოა ერთი თხოვნა სამეგრელოდან, გეგეჭკორის სამეფოდან. ამ თხოვნაში აღნიშნულია გზის საჭიროება ს. ბუხურსა და სენაკს შორის, რომლის გაკეთებას 20 წელიწადია აპირებს ადგილობრივი მთავრობა და დღემდის კიდევ ისეთივე ოღროჩოღრო გზებია, როგორც ადამის დროს ყოფილა.

აი, სხვათაშორის, რასა ვკითხულობთ თხოვნაში; „ვხედავთ, რომ დეპუტატები ჩხეიძე და ჩხენკელი მარტო ცალმხრივობას, თავიანთ პარტიულ ქინიანობის გატარებას ეწევიან სათათბიროში ტყუილია ის აზრი, თითქოს გლეხებს აერჩიოთ ჩხეიძე და ჩხენკელი; ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამ გვარი დეპუტატების მიერ ჩადენილ დემაგოგობაზე და მოგმართავთ ჩვენ, მშრომელი გლეხობა, და მოვითხოვთ, მედგრად დაიცვათ ქართველების კერძოდ და მშრომელი ხალხის ინტერესები საერთოდ“. ამ თხოვნაზე ხელს აწერს ორას ოცდა ათი კაცი. **შ. დ.**

ქუთაისის ამბები

10 მაისს, როცა თავად-აზნაურთა არა-ჩვეულებრივმა კრებამ გადასწყვიტა გუბერნიის წინამძღოლის გაგზავნა მოსკოვში, მომავალ დღესასწაულებზე დასასწრებლად, თ-დი ივანე დადიანის ინიციატივით ლაპარაკი აღიძრა ქუთათელაძის ასულის მერვე კლასიდან დათხოვნის შესახებ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლიდან.

ამ ფაქტმა იმდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქუთაისში, რომ მეტი არ იქნება მკითხველს ვაცნობო ქუთათელაძის ასულის გამორიცხვის მიზეზები.

ქუთათელაძის ასული წყნარ და ბეჯით მოსწავლეთ ითვლებოდა წმ. ნინოს სასწავლებელში, მას შენიშვნაც კი არ დაუმსახურებია თავის წინანდელი ყოფაქცევით და უბრალო გარემოებამ ახალგაზრდა ქალს დაუკარგა საშუალება სწავლის დამთავრებისა იმ დროს, როცა მოწმობის მისაღებად მას სულ თვე ნახევარი რჩებოდა.

მიზეზი ქუთათელაძის ასულის დათხოვნისა ასეთია: ცეკვა და გიმნასტიკა მოსწავლეთათვის სავალდებულოა, მაგრამ იგი განთავისუფლებული ყოფილა ფეხის ტკივილისა და ნერვების გამო.

ერთ გაკვეთილზე, როცა ქუთათელაძის ასულმა ცეკვისა და გიმნასტიკის გაკვეთილში მონაწილეობა არ მიიღო, წმ. ნინოს ახლად დანიშნულმა მასწავლებელმა ქალმა ჩარქვიანისამ შენიშნა მას, რომ იგი გაკვეთილებს გაურბის, მიუხედავად იმისა, რომ ჩარქვიანის ქალმა, როგორც ახლად დანიშნულმა მასწავლებელმა, მოსწავლის არც კარგი იცოდა არც ავი. მოსწავლემ ასეთი უსამართლო შენიშვნა იწყინა, ეცადა დაერწმუნებინა ქ-ნი ჩარქვიანის ასული, რომ იგი გაკვეთილებს არ გაურბის და, ვერაფერს რომ გახდა, გულ ნაწყენი განშორდა მასწავლებელს. ამ დროს ამ უკანასკნელთან მივიდნენ სხვა მოსწავლენი და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ მისთვის, რომ ქუთათელაძის ასულს უსამართლოდ მოექცა და როცა ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ქუთათელაძის ასული თავმოყვარე და სუსტ ნერვებიანია, მაშინ ჩარქვიანის ასულს უთქვამს: „თუ „პსიხოპატკაა“, აქ კი არ უნდა იყოს, წამლობას უნდა შეუდგესო“.

ეს, რასაკვირველია, გაიგონა ქუთათელაძის ასულმა და გული წაუვიდა. ქუთათელაძის ქალს ყოფაქცევაში ნიშანი დააკლეს.

შემდეგ ამისა მოსწავლის მამამ წარადგინა სასწავლებელში ექიმის მოწმობა, რომ მის ქალს ფეხის ტკივილის გამო ცეკვისა და გიმნასტიკის გაკვეთილში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიან და ბავშვსაც წარმოუდგენია, რომ ეს საკმარისია, ცეკვის გაკვეთილში მონაწილეობა არ მიიღოს და კიდევაც არ მიიღო.

ჩარქვიანის ასულმა ეს პირად შეურაცხყოფათ მიიღო, ქალიშვილის საქციელი ურჩობად ჩასთვალა და კვლავ წარადგინა თავისი მოხსენება პედაგოგიურ საბჭოში. აქ, რასაკვირველია, ყურადღებით მოეპყრნენ ქ-ნი ჩარქვიანის ასულის მოხსენებას, მხედველობაში არ მიიღეს ის გარემოება, რომ ქუთათელაძის ასულს ექიმის მოწმობით ცეკვაში მონაწილეობა არ შეეძლო მიეღო, აღნიშნეს მარტო ის, რომ მოსწავლე მასწავლებელს ამაღლებული კილოთი ელაპარაკებოდა, არც აცივეს არც აცხელეს და ახალგაზრდა მოსწავლე დაითხოვეს სწორედ იმ დროს, როცა კურსის დასრულებამდე თვე ნახევარი არც კი იყო.

მოსწავლე ქალის მამის მეცადინეობით, ტფილისიდან მოსწერეს წმ. ნინოს სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს ხელმეორედ განეხილათ სასჯელის შესამსუბუქებლად ქუთათელაძის ქალიშვილის საქმე, მაგრამ საბჭომ იმდენი დამოუკიდებლობა გამოიჩინა, რომ უმაღლესი მთავრობის მოწერილობასაც კი არ ათხოვა ყური და თავის განაჩენი შეუცვლელად დასტოვა.

ასეთია საქმის გარემოება. უმთავრესი მომქმედი პირი აქ ქ-ნი ჩარქვიანის ასულია. იგი შავი-ქვის მრევლთა კრების სტიპენდიანტია, ჯერ მგონი ორი წელიწადი არ არის, რაც სწავლა დაამთავრა, ხოლო წმ. ნინოს სასწავლებელში სულ რამდენიმე თვეა რაც მსახურებს. სასწავლებლის უფროსის ყურადღება მალე დაიმსახურა და მცირე ხანში უფროსის თანაშემწეობა მიიღო. ამას ვერავინ ვერ ვუსაყვედურებთ. სასაყვედურო ის არის, რომ ახალგაზრდა მასწავლებელმა ასეთი გაუგებარი სისასტიკე გამოიჩინა თავის მოღვაწეობის პირველსავე ნაბიჯზე! **ე. ს. კ.**

თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

(14 მაისის კრების გაგრძელება*)

გ. ს. რცხილაძე. ჩემ მიერ წამოყენებულ მოსაზრების შედეგების შესახებ, წარმოთქმულ სიტყვებში მხოლოდ ერთ მოსაზრებას ვხედავ, რომელიც წამოაყენა ა. ყანჩელმა. ჩემის აზრით ეს მოსაზრება სწორი არ არის. ა. ყანჩელი ჰფიქრობს, რომ თუ 6 აპრილის ხელშეკრულება ძირითადის დამატებაა, იგი ვერ შეიცავს ვერაფერს ისეთს, რაც ძირითადში არ არის. მე ისევ იმ თვალსაზრისს ვადგივარ, რომ 6 აპრილის ხელშეკრულება მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის აქტია და არა მარტო ვალდებულობისა. ამიტომ ვამბობ: ყოველი დამატებითი ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული ბუნებით ძირითად ხელშეკრულებასთან. მაგალითად, დამატებით ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ჯარიმა, როდესაც ძირითადი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იჯარას: ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ხელშეკრულება ერთისა და იმავე ბუნებისაა? ვიმეორებ წინედ ნათქვამს; საკითხი შედეგების შესახებ ფრიად საშიშია; ყოველ შემთხვევაში იგი იმდენად საკამათოა, რომ ბევრ ეჭვსა ჰბადებს. მაგალითად იგივე ა. ყანჩელმა, რომელიც იურისტების თათბირში დარწმუნებული იყო, რომ ხელშეკრულობა თავად-აზნაურობისათვის სავალდებულოა, აქ ამ აზრზე ხელი აიღო და ამბობს, ხელშეკრულება არ არის სავალდებულო. მაშასადამე ის იურიდიული „ბურუსი“...

ა. ყანჩელი რაღაცას იძახის.

თავმჯდომარე სთხოვს, ორატორს ნუ უშლის...

გ. რცხილაძე. რომლის შესახებაც ა. ყანჩელი ლაპარაკობდა, არც ისე ადვილი გასაფანტავია, როგორც იგი ჰფიქრობს. სამ-ოთხი დღის განმავლობაში ერთსა და იმავე საგნის შესახებ რადიკალურად იცვლის შეხედულებას. ამიტომ მე არ ვურჩევდი თავად-აზნაურობას სასამართლოში წასვლას. ხელშეკრულებების უარყოფით გამოწვეულ შედეგის შესახებ მე კიდევ ერთი ეჭვი მებადება: ვაი თუ თავ.-აზნაურობას გარდა 550.000 მანეთისა აქციებისათვის, ზარალის გადახდაც მოუხდეს? თქვენ აიძულეთ ბანკი სიღნაღ-ბაქოს გზასთან შეერთებაზე ხელი აეღო. თუ კი ეხლა თქვენ ამ შეთანხმებას დაარღვევთ, განა ბანკს არ აღმოუჩნდება უფლება, რომლითაც მას შეუძლიან თქვენ ზარალი გიჩივლოს? მართალია, ზარალის გადახდევინებაში, ყველაზე საძნელოა ამ ზარალის რაოდენობის დამტკიცება, მაგრამ შეიძლება ბანკისათვის ეს არც ისე საძნელო იყოს.

გადავდივარ რა საკითხზე, შემოსავლიანი იქნება თუ არა კახეთის რკინის გზა,—საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ როგორც მე მესმის, ყველას არა აქვს ნათლად წარმოდგენილი, თუ რა მოუვა თავად-აზნაურობას, გზა რომ უსარგებლო იყოს, ზოგიერთი ჰფიქრობს, რომ ზაგება თავ. აზნაურობამ თავის ჯიბიდან უნდა დაჰფაროსო. სრულიადაც არა! ზარალი „საზოგადოებამ“ უნდა დაჰფაროს და უკანასკნელი „მსხვერპლი“, რომელსაც თხოულობს საქმე თავად-აზნაურობისაგან, არის 550 ათას მანეთის აქციების ყიდვა. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი ცოტა იქნება, საობლიგაციო სესხის პროცენტებს ხაზინა გადაიხდის, ამ შემთხვევაში აქციონერები თავის აქციებზე მაინც რამდენიმე პროცენტს მიიღებენ.

თუ განვიხილავთ საკითხს გზის მფლობელობის უპირატესობის თვალსაზრისით,—მაშინ არ შეიძლება ბ. ყანჩელს დავეთანხმო, მან პატრონის უფლებანი თითქმის სრულიად გააქარწყლა. თავისი დებულების დასამტკიცებლად ა. ყანჩელი წესდების მე-37-ე მუხლზე დაეყრდნო. მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ.

ა. ყანჩელი. მაგაზე კვლავ გამოგელაპარაკებით.

ხმები. ნუ უშლით, გთხოვთ მოგვასმენინოთ.

თავმჯდომარე ა. ყანჩელს. გთხოვთ ნუ გვიშლით!

(შემდეგი იქნება)

აფორიზმები

არჩილ ჯორჯაძისა

ტყუილად კი არ ამბობენ, ცხოვრება ყოფილა საუკეთესო მოძრიგებელი — მუშაკვალიო.

✦

ცხოვრება გასწირავს და მოიდნობს ადამიანს, ან კიდევ თავის ენაზედ აალაპარაკებს მას.

✦

მიწის შვილნი ვართ, მიწას გაუწიოთ ანგარიში, მოვა დრო, მიწასვე მივებარებით!

წარმოშობამ დ მეორეს მხრით პოლიტიკური რომანტიკოსების იმედების დამსხვრევამ გამოიწვია ახლა სულიერი განწყობილება, რომელიც ძირითადად ეწინააღმდეგებოდა ძველებურს! რამდენადაც ძლიერი იყო პოლიტიკური აღფრთოვანება ამბოხებათა ეპოქისა, იმდენად მოკლებული იყო ამ აღფრთოვანებას ახალი თაობა. პოლიტიკური რომანტიზმის ადგილი დაიჭირა პოლიტიკურმა აპატიამ და ინდიფერენტიზმმა. მთელი გულისყური მაშინდელი მოწინავე საზოგადოებისა და ინტელიგენციისა იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ რაც შეიძლება უკეთესად გამოეყენებინათ ახალი პირობები და ეკონომიურ ძალთა განვითარებით ხელი შეეწყოთ პოლონეთის კულტურული აღორძინებისთვის. ახალმა თაობამ, ეგრედ წოდებულმა პოლონეთის პოზიტივისტებმა წამოაყენეს თეორია „ორგანიული შრომისა“, რომელსაც პოლიტიკური რომანტიზმის ადგილი უნდა დაეჭირა და გასავალი მიეცა ცხოვრების ახალ პირობებში შობილსა და განვითარებულ სოციალურ ჯგუფთათვის. პოლიტიკურ ბრძოლის ადგილი დაიჭირა აპოლიტიზმმა და გამეფდა ეკონომიზმი, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ამ მიმართულებამ თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო ნაწილი მაშინდელი ინტელიგენციისა. იგი პრაქტიკულ ეკონომიურსა და კულტურულ მუშაობაში ჩაება და აღარაფერი სწამდა, გარეშე ამ მუშაობისა. „ორგანიული შრომით“ უნდოდათ პოლონეთის პოზიტივისტებს გამოეყვანათ პოლონეთი ახალ გზაზე და ევროპიული კულტურის მოზიარე გეხადათ. იყვნენ წარმომადგენელნი ძველებური პოლიტიკური რომანტიზმისა, მაგრამ მათ აღარავითარი გავლენა არა ჰქონდათ ხალხზე დ იძულებული ჰხდებოდნენ გულში ეტარებინათ დაუცხრომელი ოცნება პოლონეთის განთავისუფლებისა.

ამ „ორგანიული შრომის“ თეორიას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდი სამსახურიც გაუწია პოლონეთის განახლების საქმეს, მაგრამ მალე ულმობელმა სინამდვილემ დაარწმუნა პოლონეთის საზოგადოება, რომ იგი ისეთივე ცალმხრივი გატაცება იყო, როგორც პოლიტიკური რომანტიზმი. ამ დასკვნამდე პოლონეთის საზოგადოება გამარუსებელმა პოლიტიკამ მიიყვანა. თან და თან და სისტემატიურად რუსეთის ბიუროკრატია შეუდგა პოლონეთის ეროვნულ დაწესებულებათა ლიკვიდაციას და ისეთი პოლიტიკის წარმოებას, რომელიც პოლონეთის კულტურულ-სოციალურ ცხოვრების თავისუფალ განვითარებას არა ნორმალურ პირობებში აყენებდა. ამ პოლიტიკამ, რომლის შესახებ სიტყვის გაგრძელება სრულიად მეტად მიგვაჩნია აქ ჟამად, დაჰბადა შეგნება, რომ პოლიტიკის თავ-აღებული უარყოფით და მხოლოდ „ორგანიული მუშაობის“ თეორიის დახმარებით შეუძლებელია ისე მოეწყოს პოლონეთის ცხოვრება, რომ მის განვითარებას წინ მუდამჟამს დამაბრკოლებელი მიზეზები არ გადაეღობოს. საჭირო იყო გამონძებნა ისეთი საშუალებისა, რომელიც, ერთის მხრით, შეთანხმებული იქნებოდა ცხოვრების ახალ პირობებთან და, მეორეს მხრით, საშუალებას მისცემდა პოლონეთს ისე მოეწყო თავისი შინაური ცხოვრება, რომ სოციალურ-კულტურული განვითარება და ეროვნული ზრდა არ შეფერხებულიყო. საზოგადოებრივმა აზრმა ასეთს საშუალებად პოლონეთის ავტონომია ცასახა. მაგრამ, სანამ ეს აზრი პოპულიალური გაჰხდებოდა და სანამ ინტერესი პოლიტიკურ საკითხებისადმი კვლავ გაიღვიძებდა, პოლონეთის საზოგადოებას დიდი შრომა დასჭირდა. თვით ავტონომიის საკითხმაც ბევრი მიხვეულ-მოხვეული გაიარა, სანამ ჩამოყალიბებულ ფორმულად და ფართო მასსის მიერ შეგნებულად შეთვისებულ საკუთრებად გადაიქცეოდა.

პოლიტიკური ინტერესის ხელ-ახალი გაღვიძება პოლონეთში იწყება 1886 წელს, როდესაც შვეიცარიაში დაიბადა საიდუმლო პოლონური ორგანიზაცია „პოლონეთის ლიგა“. იგი მიზნად ისახავდა პოლონეთის აღდგენა ფედერატიულ ნიადაგზე. იგი სარევოლიუციო ორგანიზაცია იყო და ამიტომ თავის მიზნის განხორციელებლად მიჰმართავდა ყველა ამ საშუალებას, რომლებსაც მიჰმართავენ ხოლმე ჩვეულებრივად ყველა სარევოლიუციო ორგანიზაციები. მალე „ლიგამ“ თავისი მოქმედება გადმოიტანა პოლონეთში, მაგრამ ფართო მასაში მას, გარკვეული ეკონომიური პროგრამის უქონლობისა გამო, დიდი გავლენა არა ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, იმ დროისთვის პოლონეთის საზოგადოების სულიერი განწყობილება უკვე იმდენად იყო შეცვლილი, რომ იგი „ლიგის“ გავლენის ქვეშ ჩავარდა და იგრძნო სიახლოვე და სიმპატია იმ ხალხისადმი, რომელიც მკვეთრ ხმით იწვევდა საზოგადოებას ეროვნული ინტერესების დასაცველად. 1885 წელს ვარშავაში არსდება ყოველ-კვირეული ჟურნალი „ხმა“, რომელიც კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს აპოლიტიზმის ხანას, ჰგრძნობს პოლიტიკურ ოპორტიუნიზმს, გარკვეული ეროვნული იდეალების უქონლობას და აძლევს პოლონეთის საზოგადოებას მოქმედების ახალ პროგრამას. სურათი იმ დროინდელ ძალთა განწყობილებისა სრული არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ, რომ საერთო აპოლიტიზმისა და პოლიტიკურ ინდიფერენტიზმის ხანაშ წარმოშობა პოლონეთში კოსმოპოლიტური სოციალისტები, რომლებიც მთელ თავის იმედებს სოციალურ რევოლიუციაზე ამყარებდნენ და სწამდათ, რომ მხოლოდ მას შეეძლო დაეხსნა ყველა ერი ჩაგვრისაგან. დღევანდელ პირობებში კი განსაკუთრებულ რამ ეროვნული პოლიტიკის წარმოება მათ მეტად მიაჩნდათ. ჟურნალ „ხმა“-ს უხდებოდა ბრძოლა როგორც პოლიტიკურ ინდიფერენტიზმთან, ისე ზემოხსენებულ კოსმოპოლიტებთან. „ახალ პირობებში,—სწერდა „ხმა“,—ხალხი დამოუკიდებლად უნდა განვითარდეს თავის საკუთარ ძალ-ღონით და მისწრაფოდეს სამოქალაქო თვით შეგნებისკენ. ჩვენ უნდა აღვიაროთ უდიდესი მნიშვნელობა ამ პროცესისა, მის განვითარებას დაუკავშიროთ სასიცოცხლო ინტერესები ქვეყნისა, ვებრძოლოთ ცრუმორწმუნოებას, რომელიც აბნელებს ამ პროცესის მნიშვნელობას და გზა-კვალს ურევს ჩვენს ინტელიგენციას. აქედან შემდეგი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: ჩვენი ხალხის ინტერესებმა და მოთხოვნილებებმა უნდა უხელმძღვანელონ ჩვენს სინამდვილეს. ჩვენ ვსდგებით ხალხის რეალურ ინტერესების ნიადაგზე და უარვყოფთ იმათ პრეტენზიებს, რომელნიც ათასი წლობის კულტურისა და ტრადიციების სახელით მოქმედებს და კი არ ახსოვს, რომ ამ ტრადიციის იდეალები და ამ კულტურის ფორმები სრულიად უცხოა ერის უდიდესი ნაწილისთვის“.

ამ დებულების მიხედვით, „ხმა“-ს საჭიროდ მიაჩნია ერთის მხრით განთავისუფლება შრომისა (სოციალისტური პრინციპი) და, მეორეს მხრით, ბრძოლა კოსმოპოლიტურ სოციალიზმთან, რომლის წარმომადგენელთაც არ ესმით, რომ ერს აქვს შემუშავებული თავისი საკუთარი შეხედულება ბედნიერებაზე, რომელიც შეიძლება სხვა ქვეყნებსა და სხვა პირობებში შექმნილ ჩარჩოებში ვერ მოთავსდეს. (ეროვნული პრინციპი). „ხმა“-სა სწამს ძალა და ენერგია პოლონეთის ხალხისა და დარწმუნებულია, რომ თავის საკუთარ ძალ-ღონით მოახერხებს ორივე პრინციპის განხორციელებას.

ეროვნული მოძრაობა, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით სწორედ სოციალისტურ მოძრაობის მისუსტების დროს გაიზარდა. მაგრამ მალე სოციალიზმი ისევ გაიზარდა და არსებითად შეიცვალა ფერიც. დაიწყო იდეიური მუშაობა თვით სოციალისტთა წრეებში, დაიწყო გადასინჯვა საპროგრამო საკითხებისა და საორგანიზაციო მუშაობა. 1892 წელს პარიზში შეიკრიბნენ რუსეთის ოთხი სოციალისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები. რომლებმაც ჩაუყარეს საფუძველი პოლონეთის სოციალისტურ პარტიას (პ. პ. ს.). ეროვნულ სფერაში ეს სოციალისტური პარტია მოითხოვდა პოლონეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკას. სოციალიზმის განვითარების გარანტიად მას მხოლოდ პოლონეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა მიაჩნდა. როგორც ახალი საკმაოდ ძლიერი პარტია, იგი ერთბაშად ყურადღების ცენტრად გადაიქცა. „ლიგის“ მომხრე ნაციონალისტებს გაეხარდათ, რომ დაიბადა სოციალისტური ორგანიზაცია, რომელიც ეროვნულ საკითხს დიდს ყურადღებას აქცევდა და კოსმოპოლიტ სოციალისტების მსგავსად გულგრილად არ ეკიდებოდა პოლონეთის ეროვნულ მისწრაფებას.—ამიტომ თავდაპირველად ბევრი ისეთი ელემენტი მიემხრო პოლონეთის სოციალისტურ პარტიას, რომელსაც, თავისი სოციალური მდგომარეობით და საერთო მსოფლ-მხედველობით, ვერას გზით ვერ შეეძლო პარტიის სოციალისტური აზროვნება გაეზიარებინა და სოციალისტური მუშაობის აქტიური მონაწილე გამხდარიყო. მაგრამ თანდათან, იმის და მიხედვით, რაც პოლონეთის სოციალისტური პარტია თავის მოქმედებას აძლიერებდა და თავის სოციალისტურ სახეს აჩენდა, ნაციონალისტებიც შორდებოდნენ და მალე სიმპატიები ცხადი მტრული განწყობილებით შეიცვალა. მეორეს მხრით, პოლონეთის სოციალისტურ პარტიას ჩამოჰშორდა ჯგუფი, რომელმაც შეჰქმნა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია. დროთა მიხედვით „ლიგის“ მომხრენი გადაიქცნენ „ნაციონალ-დემოკრატიულ“ პარტიად. ნაციონალ-დემოკრატები მიისწრაფოდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობისკენ. ნაციონალ-დემოკრატიული პარტია თავდაპირველად რადიკალური იყო, მაგრამ მალე დაჰკარგა თავისი პირვანდელი სახე და რეაქციონურ ნაციონალისტურ და ოპორტიუნისტულ პარტიად გადაიქცა.

დრომ და რუსეთის ცხოვრების საერთო განვითარებამ პოლონეთის საზოგადოების ყველა წრეებში ცვლილება მოახდინა. ადვილად შესაძლებელია პოლონეთში დღესაც ბევრი ოცნებობდეს პოლონეთის დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ოფიციალურ პროგრამების მიხედვით ყველა პარტიის მოთხოვნილება პოლონეთის ავტონომიაზე შორს არ მიდის. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც კი, რომელიც, ალბად, ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყო ამხედრებული ნაციონალისტების წინააღმდეგ და კიდეც ჰქადაგებდა უკიდურეს ცენტრალიზმს, ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ უავტონომიოდ პოლონეთს ცხოვრება ვერ შეუძლიან და თავის პროგრამაში კიდეც შეიტანა მოთხოვნა პოლონეთის ავტონომიისა. „რადგანაც ჩვენი ქვეყანა,—სწერია პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის კომენტარიებში,—წარმოადგენს ერთს დამოუკიდებელ მთელს, რომელიც თავის კულტურითა და სოციალ-ეკონომიური ცხოვრებით განსხვავდება სახელმწიფოს სხვა ნაწილებისაგან პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია თხოულობს, რომ გარდა ყველა ეროვნებათა საერთო სამოქალაქო განთავისუფლებისა, პოლონეთს მიეცეს პროვინციალური თვითმმართველობა ანუ ავტონომია. ეს ნიშნავს, რომ ის საქმეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეეხება, გადაწყვეტილ იქმნას ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლების მიერვე ჩვენი თანამდებობის პირთა და პროვინციალურ სეიმის დახმარებით“.

ამ რიგად, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საჭიროდ მიაჩნია პოლონეთისთვის ავტონომია, რომელიც ბურჟუაზიის გასაძლიერებელი საშუალება და ბურჟუაზიის მიერ მოგონილი ხრიკი კი არ არის, არამედ პოლიტიკური აუცილებლობა, რომელშიაც უპირველესად ყოვლისა პროლეტარიატი და საზოგადოდ მშრომელი ხალხია დაინტერესებული.

როგორც ამ მოკლე ისტორიულ მიმოხილვიდან დაინახავდა მკითხველი, პოლონეთის ეროვნულმა მოძრაობამ ბევრნაირი მიმართულება გამოსცადა. პოლიტიკურ რომანტიზმამდე მისული პოლიტიკური გატაცება და აჯანყებანი, პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, როგორც ბუნებრივი რეაქცია პოლიტიკურ აღფრთოვანებისა და, ბოლოს, დღევანდელი ცხოვრების პირობებთან შეთანხმებული ფორმულა პოლონეთის ავტონომიისა,—აი სქემატიური სურათი პოლონეთის ეროვნული მოძრაობის განვითარებისა.

(შემდეგი იქნება)

არ. ჯ—შვილი.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 896.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი

უკანასკნელ დროს ქუთაისის ბანკი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და მისი საქმეებიც გამოკეთდა. მან შეასწორა „ერთობის“ დროს შერყეული თვისი ფინანსიური მდგომარეობა და გააუმჯობესა იგი ყოველ მხრივ. ბანკის ანგარიშიდან სჩანს, რომ 1 იანვარს 1909 წელს ბირჟაზე ტრიალებდა ამ ბანკის გირავნობის ფურცელი 8,778,600 მანეთისა, 1913 წ. 1 იანვარს კი—15,299,100 მანეთისა. ამ რიგად გირავნობის ფურცელთა რაოდენობამ ოთხ წელიწადში იმატა 47,5$^0/_0$-ით. ბანკის კეთილდღეობას ნათლად ამტკიცებს აგრეთვე შემდეგი სანუგეშო გარემოება: 1 იანვარს 1908 წ. ბანკში დაგირავებულ მამულებზე ირიცხებოდა ვადა გასული ვალი ჯარიმებით 406,418 მანეთი, 1 იანვარს 1913 წ. კი—მხოლოდ 180,855 მ., თუმცა ამ ხნის განმავლობაში ბანკის მიერ გაცემული სესხი გაორკეცდა.

ამავე დროს შესამჩნევად იკლო ბანკზე დარჩენილ მამულების ვალმა, რომელიც 1 იანვარს 1911 წ. უდრიდა 1.710 262 მანეთს, ხოლო 1 იანვარს 1913 წ.—1,008.092 მან. ამ რიგად, ვალმა იკლო 41$^0/_0$-ით. ამავე ხნის განმავლობაში ბანკმა სავსებით მოხსნა მის მამულების ნედოიმკები, რომელიც 1 იანვ. 1911 წ. უდრიდა 415,105 მანეთს. გარდა თავის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ბანკმა ამავე ხნის განმავლობაში მისცა თავად-აზნაურობას 200.000 მანეთზე მეტი ძირითად თანხიდან, რომელიც ამ ჟამად უდრის 500,791 მანეთს, რაიცა აღემატება ბანკის საჭიროებას.

ამ გვარი სამაგალითო პროგრესი და ასეთი გამობრუნება ერთ დროს შერყეულ საქმისა ცხადად გვიმტკიცებს, რომ ქუთაისის ბანკი მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზე დადგა და მას თამამად შეუძლიან რუსეთის საუკეთესო საადგილ-მამულო ბანკებს გვერდში ამოუდგეს.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის ამ ბანკის ასეთი ძირითადი გადაგვარება და მას იმ დროის თვალით უყურებს, როცა ბანკს ფეხი წაუსხლტა და მისი საქმეები შეირყა. მაგალითად, სახელმწიფო ბანკი ქუთაისის ბანკის ას მანეთიან ფურცლებს იგირავებს 45 მანეთად, ტფილისის საადგილ-მამულო და საქალაქო ბანკების ფურცლებს კი—65 მანეთად. ასეთს სამწუხარო უსამართლობას დიდი გავლენა აქვს ქუთაისის ბანკის ფურცლების საბირჟო ფასზე, რის გამო ბანკიც ჰკარგავს და მსესხებელიც. ამან აიძულა ბანკი წარედგინა ნამესტნიკისათვის ცალკე მოხსენება, შედგენილი ბანკის გამგის თავ. მ. ფალავას მიერ და ეთხოვნა, რათა სახელმწიფო ბანკმა და პრიკაზმა იმავე ფასად მიიღონ ქუთაისის ბანკის ფურცლები, რა ფასშიაც იღებენ ტფილისის საადგილ-მამულო და სხვა ამ გვარ ბანკების ფურცლებს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ნამესტნიკი მოსპობს არსებულ უსამართლობას და ქუთაისის ბანკის შუამდგომლობას დააკმაყოფილებს.

სხვა და ხვა ამბავი

სიმინდის შაქარი.

ამ ბოლო დროს მრეწველობა და მეცნიერება დიდ ყურადღებას აქცევს სიმინდისაგან შაქრის გაკეთებას. თუმცა ეს საქმე ახალი არ არის, მაგრამ უკანასკნელ დროს ამერიკაში გულმოდგინედ შეუდგნენ მის განხორციელებას. ამერიკელი მეცნიერის სტუარტის გამოცდილებით, თუ სიმინდს წავაჭრით ქუჩუჩოს იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ ნედლია, მაშინ ღეროში ძალუმად შეგროვდება შაქრის წვენი. 60 ფუთი ნედლი ღერო იძლევა თურმე 200 გირვანქა შაქარს. თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ზოგ ადგილას სიმინდმა ორი მოსავალი იცის, როგორც მაგალითად ჩვენში, გამოვა, რომ ერთი ქცევა სიმინდი გამოიღებს 300 ფუთამდე შაქარს, ასე რომ ვერც ჭარხალი, ვერც შაქრის ლერწამი ვერ გაუწევდა მეტოქეობას სიმინდის შაქარს. ამერიკა, მოგეხსენებათ, მალე განახორციელებს ხოლმე მეცნიერების აღმოჩენას. პენსილვანიის ოლქში უკვე შემდგარა მექარხნეთა ამხანაგობა, რომელსაც 20 მილიონი მანეთი აქვს საწარმოო თანხად. გაუმართავს სიმინდისაგან შაქრის საკეთებელი ქარხანა, რომელსაც დიდი მუშაობა აქვს. სიმინდის შაქარი ჭარხლისას ჰგავს თურმე, მხოლოდ ფერი აქვს უფრო მოყვითალო და სიმაგრითაც უფრო რბილია.

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო

16 მაისი.

უცხოეთი

ბელგრადი. პაშიჩმა სკუპშჩინაში მოხსენება წაიკითხა სერბია-ბულგარეთის ურთიერთობის თაობაზე. პირველად ომის მიზეზები დაასახელა. როდესაც სერბიის ჯარი ბრძოლის ველზე გამარჯვებული დარჩა, ავსტრიამ განუცხადა, რომ მას არ მივცემ ადრიატის ზღვისკენ გასავალს. სახელმწიფონიც ავსტრიის აზრს დასთანხმდნენ. სერბიაც იძულებული იყო დამორჩილებოდა, იმ იმედით, რომ სხვა ალაგას აინაზღაურებდა თავის დანაკლისს. ომის დასრულებისას ფრიად რთული საკითხი აღიძრა—ტერიტორიის განაწილება. სერბია დარწმუნებულია, რომ მიწა-წყალი განაწილდება თანახმად განწირულ მსხვერპლისა. სერბია-ჩერნოგორიის საზღვრის გაყვანა ადვილად მოწესრიგდება. პაშიჩი აკრიტიკებს ალბანეთის საზღვრებს. პაშიჩმა განაცხადა, რომ სერბიას ჰსურს ბულგარეთთან ერთად საბერძნეთის საზღვარი საერთო ჰქონდესო. ევროპის სურვილით სერბიამ ადრიატის სანაპიროზე ხელი აიღო. სერბიას იმედი აქვს მოკავშირენი დააკმაყოფილებენ სერბიის სურვილს, რადგანაც ადრიატის სანაპიროზე ხელი აიღო იმ მოსაზრებით, რომ მოკავშირეთათვის დაუპყრობელი ადგილები უზრუნველ ეყო.

თუ მეზობელი სახელმწიფონი სერბიას საქონლის გაზიდ გამოზიდვას თავის ტერიტორიაზე აუკრძალავენ, მაშინ სერბია საბერძნეთის ტერიტორიით ისარგებლებს. სერბია-ბულგარეთის ურთიერთობა მეგობრულია. ომმა ისეთი ახალი მოვლენანი წარმოჰშვა, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულებით შეუძლებელი იყო. ამისთვის ხელმეორედ უნდა გადათვალიერდეს სერბია-ბულგარეთის ხელშეკრულება და თანახმად ახალ ფაქტორებისა შესწორდეს, მაკედონიის საზღვარი უნდა შეიცვალოს. ისეთი ტერიტორია, რომელიც დავას არ გამოიწვევს, ასე უნდა განაწილდეს: შარდაგის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე ადგილები—სერბიის იქნება, აღმოსავლეთით ვიდრე სტურმამდის და როდოფსის მთებამდე—ბულგარეთისა. შარდაგის, არხიპელაგის და ოხრიდის ტბის შუამდებარე ადგილები სადავოა; ისინი ან ავტონომიურ პროვინციად უნდა გადაიქცეს ან განაწილდეს. სერბიამ ადრიანოპოლის ბრძოლაში თვისი მოვალეობა პირწმინდად შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ აიძულებდა, 5 თვეს იარაღით ხელში დაჰყო ადრიანოპოლთან და ფრაკიასთან, რათა ეს სიმაგრეები ბულგარეთს აეღო. ბულგარებმა იმაზე მეტი მიიღეს, რაც ხელშეკრულებაში იყო გათვალისწინებული, სერბიამ კი დაჰკარგა ისიც, რაც ხელშეკრულებით მას ეკუთვნოდა. ბულგარეთი მოვალე იყო ვარდარში გამოეყვანა 100,000 კაცი; ბულგარეთის შტაბმა ამ მუხლის შეცვლა მოითხოვა, რადგანაც ფრაკიაში იყო საჭირო ჯარი. სერბია იძულებული იყო 100,000 კაცით მეტი გამოეყვანა. სერბიამ ფრაკიაში 50,000 კაცი გაჰგზავნეს და მასთან ერთად საალყო ზარბაზნებიც, რაც ბულგარეთს არ მოეპოვებოდა. სერბია არ იყო მოვალე მარიცას ველზე ჯარი გაეგზავნა. სერბიამ ზღვისკენ დაჰკარგა გასავალი, მისთვის საჭიროა სალონიკისკენ მაინც ჰქონდეს გზა. ამას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ საერთო საზღვარი ექნება. ეხლა სერბია მოითხოვს ხელშეკრულების გადათვალიერებას და ჰსწამს ბულგარეთის მეგობრული გრძნობანი.

მაზამანი. თამიგლაუიმ ხიშის მომხრენი ტორუდანტიდან გასდევნა. უკანასკნელთა შორის 500 კაცია მოკლული. ხიშა გაიქცა.

ბერლინი. დამტკიცდა გერმანია-შვეციის კავშირი. ამგვარივე კავშირი სტოკჰოლმშიაც დაარსდა.

სალონიკი. პანგეის მთებზე ბულგარეთის ჯარის მსვლელობა არ შეჩერებულა. ბულგარებმა თოვლიანის სიმაღლეები დაიჭირეს. ბერძნებმა ლეფტერისკენ დაიხიეს. ბულგარეთის ძლიერი რაზმები პრავიშტისა და თოვლიანის შორის იმყოფებიან.

ვენიზელოსი სალონიკში მივიდა. ვენიზელოსს მდგომარეობა ფრიად გაჭირვებულად მიაჩნია. მისი აზრით საჭიროა შუამავლობის აღძვრა ბულგარეთისა და საბერძნეთის დავის მოსასპობად.

ბუქარესტი. 77 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 9-სა სენატმა პეტერბურგის კონფერენციის მოწმები მიიღო.

პარიზი. საფინანსო კონფერენციაზე მოკავშირეთ გადამწყვეტი ხმა ექნებათ იმ საკითხებში, რომელნიც მათ შეეხება.

მადრიდი ფინანსთა მინისტერმა სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა შეიტანა. სახარჯოდ ნავარაუდევია 1,200.000.000 პეზეტი; შემოსავალი—1,156.000.000 პეზ.

სოფია. პაშიჩის დეკლარაციამ ბულგარეთზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. ჰფიქრობენ, ამგვარ საქციელით შეუძლებელი ჰხდება სამშვიდობო მოლაპარაკების გაგრძელება. მით უმეტეს გასაკვირველად სთვლიან პაშიჩის გამოსვლას იმ დროს, როდესაც სერბიის და ბულგარეთის პრემიერები შესთანხმდნენ შეჰხვედროდნენ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად 19 მაისს.

პარიზი. მოკავშირეთა ხმის უფლება საფინანსო კონფერენციაზე ჯერ გადაწყვეტილი არ არის. სამთა კავშირის სახელმწიფოებს ამის თაობაზე გადაწყვეტილი პასუხი არ შეუთვლიათ.

ათინა. ბულგარებმა პრავიშტის სიმაღლეებზე აიტანეს ზარბაზნები. 14 მაისს, სრულიად უმიზეზოდ დაეცნენ ისინი საბერძნეთის რაზმს. შეტაკების შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული.

ვენა. დეპუტატთა პალატამ დაასრულა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და იგი საბიუჯეტო კომისიას გადასცა.

ბუქარესტი. სენატის საიდუმლო სხდომაზე მინისტრ-პრეზიდენტმა აღნიშნა რუმინიის ნეიტრალიტეტის მიზეზები. ოსმალეთს რომ შეჰკავშირებოდა, რუმინია ხელს შეუშლიდა ბალკანელ სახელმწიფოთა განთავისუფლებას და ოსმალეთის განდევნას ევროპიდან; მოკავშირეებს რომ შეჰკავშირებოდა, ამისთვის არ იყო საზოგადოებრივი აზრი მომზადებული. ამისთვის ისევ ნეიტრალიტეტი არჩია რუმინიამ. პრემიერი ტაშით დააჯილდოვეს.

ლონდონი. ოქმის პროექტი მოკავშირეთა სახელით დაურიგდათ ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს. ბულგარეთის დელეგატები 17 მაისს მოაწერენ ხელს წინასწარ სამშვიდობო ხელშეკრულებას. სერბიის დელეგატებმა მოწერილობა მიიღეს, ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას. ამბობენ, რომ საბერძნეთიც მოაწერს ხელსო.

სტამბოლი. ქიამილ-ფაშას წინადადება მიეცა დაუყონებლივ დასტოვოს სტამბოლი.

რუსეთი.

მოსკოვი. ბუტირის გადასახლებულთა ციხეში ხუთმა პატიმარმა მოიწადინა ციხიდან გაქცევა. მათ დაახრჩეს ერთი ზედამხედველი და სამი—დასჭრეს. ჯარის-კაცებმა ხუთივე პატიმარი დასჭრეს.

მოსკოვი. მოვიდა ამერიკელთა დელეგაცია, რუსეთის სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობასთან გასაცნობად.

პეტერბურგი. მოხდა სათათბიროს პრეზიდიუმის და ფრაქციათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირის საგანი იყო ხარჯთ-აღრიცხვის ჩქარი განხილვა.

თათბირმა დაადგინა დღის სხდომები საღამოს შვიდ საათამდე გააგრძელონ და დაჰნიშნოს მეორე დამატებითი სხდომა პარასკევს საღამოს მიმდინარე კანონპროექტთა განსახილველად.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა ვიბორგის მაგისტრატის ექვსი წევრის საჩივარი, რომელთაც ექვსი თვის ციხე აქვთ მისჯილი.

პეტერბურგი. საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ადგილობრივ სასამართლოს შემოღების კანონ-პროექტი.

შემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 26 მაისს გასამართ სეირნობისათვის შემოსწირეს: (ნინო ტარიელის ასული ავალიშვილის და ფუთუ ავალიანის ხელით) 1) ა. ზ. ბერულაშვილმა 10 ბოთლი ღვინო, 2) ემილ ცინდელმა 10 ნაჭერი ჩითი, თითო ოთხ არშინიანი, 3) ივანე სიმონის ძე აბაშიძემ—ერთი მანეთი, 4) ელისაბედ მიხეილის ასულმა ჩოლოყაშვილმა 20 კაპ., 5) თინათინ სიმონის ასულმა ვაჩნაძემ 20 კაპ., 6) აჩიკო დავითის ძე კეკიანმა 20 კაპ., ანნა დიმიტრის ასულმა დიდჩურაბოვმა 50 კაპ., 8) აბრამ პოგრებეცკიმ 45 კაპ., 9) ბენედიკტე ნიჟარაძემ 1 მან., 10) ერთმა თათარმა 5 კაპ., 11) ტერ-ოგდოევმა 30 კაპ., 12) აბრამ ნაცვლიშვილმა 10 კაპ., 13) სამუელ მოშე 5 კაპ., 14) ნიკო ბერიძემ 50 კ., 15) მ. მაყაშვილის ასულმა 30 კაპ., 16) ა. კვიჟინაძე 20 კაპ., 17) ნიკოლოზ მიხეილის ძე ვაჩნაძემ 20 კ., 18) სირანუშა ისრაელიანცმა 15 კაპ., 19) აპოლონ კობახიძემ 50 კაპ., 20) ლევან ნიკოლოზის ძე ჟორდანიამ 3 მან., 21) გელიოს კარაპეტიანცმა 50 კ., 22) ნიკო ბერიძემ 50 კ., 23) მარიამ ნ. ასათიანმა 50 კ., 24) კნეინა ნინო ამირეჯიბმა 50 კ., 25) მაშადი სადიკამ 10 კ., 26) ნესტორ მერკვილაძემ 1 მან., 27) ს. რაევისამ ჩარჩო, კალენდარი და საფულე (კასა), 28) მარიამ მეძმარიაშვილმა სამი რამკა, 29) ყაზარ კარაპეტიანცმა ხუთი ქართული წიგნაკი, 30) გ. მარკოზოვმა შოკოლადი, 31) პოლოსოვმა ბანბანერკა, 32) ლევან კორინთელმა ერთი ყუთი კონსერვი, 33) ონისიმე სვანიძემ [illegible] ქუდი, ქეჩისა, 34) ა. ს. ალიევმა ერთი მომპასიე, 35) ბ-ნმა ბალდასარიანცმა ორი ნაჭერი საპონი, ორი კრემი, ორი კოლოფი უმარილი, 36) ი. ასატუროვმა 6 ნაჭერი საპონი, 37) სტრელნიცკიმ ერთი მარაო, 38) ავეტიკოვმა სამი სათითე და ერთი ფანქარი, 39) აბაზ-ალი ერთი კოლოფი მაზი, 40) ვეზიროვმა კონსერვი ერთი კოლოფი, 41) მ. არისტაკოვმა ექვსი ცალი საბავშვო სათამაშო, 42) ეგანოვმა ერთი გრაფინი, 43) ნებიევმა ბანბანერკა, 44) ოლღა ოქროპირის ასულმა სტრელეცკიმ ორი ლამფა, 45) პავლე მიმინოშვილმა კოსმეტიკის საქონელი, ოთხი, ნაჭერი, 46) ანტონ თხელიძემ კოლოფი ყავა „არგო“, 47) პასიკო ონისიმეს ასულმა ნიკოლაიშვილმა აკაკის სურათი ჩარჩოთი, 48) ელენე დავითის ასულმა გაბაშვილმა ბროლის ბანკა წითელი და ლურჯი თევზებით, 49) ჰაჯი მაშადიმ თამბაქო, 50) ანიკო, თამრი და ნინო ტოგონიძეებმა ერთი სურათი, (თამარ ყიფშიძის და ანნა ტოგონიძის ხელით), 51) კირაკოსიანცმა სამი საყელო კაცისა, 52) რახმანოვმა 2 ყუთი კონსერვი, 53) არტემ კონდახჩევმა ერთი ლაიკის ხელთათმანი, 54) იორამოვმა სავარცხლები, ბალთა ქამრისა, 55) გალუსტოვმა ქამარი, ქალისა, 56) ფარსეღოვმა ბავშვის ფეხსაცმელები, 57) ნარიმანოვმა ქეჩის ქუდი, 58) ნაზარბეგოვმა ერთი წყვილი ხელთათმანი, 59) რაბინოვიჩმა ერთი ძეწკვი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ვაუწყო **ქართველ საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდის** წევრებს, რომ ის მისსია, რომელიც გუნდმა მიანდო ამას წინად არჩეულ „დროებით გამგეობას“, უკვე დაბოლოვებულია: შემუშავებულია პროექტი ნატარიალურ ხელშეკრულობის გუნდისა და ლოტბარის შორის და მის მაგიერ ხელი მოაწერა როგორც გამგეობის რწმუნებულმა, ისევ თვით ლოტბარმა ბ-ნმა მიხ. კავსაძემ. ნამდვილ პირობაზე-კი გუნდის ყველა წევრი მოაწერს ხელს და ამით საბოლოვოდ მოსპობს იმ გაურკვეველ მდგომარეობას, რომელმაც გამოიწვია ბოლო დროს გუნდის არევ-დარევა და დროებითი გამგეობის არჩევა.

ამასთანავე დაბეჯითებით ვთხოვ გუნდის იმ წევრებს, რომელთაც ბოლო დროს გული აიცრუეს გუნდზე და ჩამოშორდნენ მას, ახლავე დაუბრუნდნენ თავისს საქმეს და განაგრძონ ამხანაგური შრომა-მეცადინეობა.

დროებითი გამგეობის წევრი

გ. ჟორდანია.

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაზე: № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საბაგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

კბილის
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 [illegible] მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო სამკურნალო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათულიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 მ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაბოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანუარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მექანიკური ნაწარმოები. 170

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აკასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის-დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
„დასჯილნი“
სამ-მოქმედებიანი პიესა **ბარიესი**, თარგმანი **ვანო საათაშვილისა.**
წიგნის მთავარი საწყობი არის ქ. ყარსში მთარგმნელთან:
ყარსი. ვანო საათაშვილი. 1110

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
ახალ-ახალი
იმზანი,
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ მარცვლოვანი
ხიზილალა |ქიტკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები**, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და **კონსერვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

კახეთის რკინის გზა
ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საავარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საავარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „კავკაზის“ რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.